№2195 2013 წლის 30 დეკემბერი ქ. თბილისი

## ქედის მუნიციპალიტეტის მიერ სახელმწიფო შესყიდვის გამარტივებული შესყიდვის საშუალებით განხორციელების შესახებ

მიეცეს უფლება ქედის მუნიციპალიტეტს, სახელმწიფოებრივი და საზოგადოებრივი მნიშვნელობის ღონისძიებების შეზღუდულ ვადებში შეუფერხებლად ჩატარების მიზნით, დიდთოვლობის შედეგად გამოწვეული სტიქიური მოვლენების სალიკვიდაციოდ აუცილებელი სპეცტექნიკის - ავტოამწისა და მუხლუხებიანი ტექნიკის გადასაყვანი ლაფეტის შესყიდვა, 32 000 (ოცდათორმეტი ათასი) ლარის ფარგლებში, „სახელმწიფო შესყიდვების შესახებ“ საქართველოს კანონის $10^1$ მუხლის მე-3 პუნქტის ,,დ“ ქვეპუნქტის შესაბამისად, განახორციელოს გამარტივებული შესყიდვის საშუალებით.

**პრემიერ-მინისტრი ირაკლი ღარიბაშვილი**